სენსომოტორიკა, სენსომოტორული დონე -

Sensorimotor level - Сенсомоторный уровень

(ლათ. sensus *აღქმა, შეგრძნება, გრძნობა* + motor *მამოძრავებელი*)

ინდივიდის აქტივობისა და **განცდის** უდაბლესი დონე, რომელსაც არ სჭირდება **გაცნობიერება**, არ ახლავს არავითარი **წარმოდგენა** – მიჯაჭვულია „აქ და ახლა“ მოცემულზე, უშუალო **აღქმის ველზე** (შესაბამისად, არ სჭირდება **მეტყველება, აზროვნება, ნებელობა**). ამ დონეზე მთავარია **სენსორულ-აღქმითი** და კუნთურ-**მოტორული** ფუნქციების ურთიერთკოორდინაცია: გარედან, ანდა საკუთარი **მოთხოვნილების** განცდიდან, ანდა საკუთარი **შიგა შეგრძნებებიდან** და **ფიზიოლოგიური** პროცესებიდან მიღებული ინფორმაცია ზემოქმედებს სხეულებრივ მოძრაობებზე; ხოლო სივრცეში მოძრაობა, თავის მხრივ, ახალი ინფორმაციის წყარო ხდება; ეს ახალი ინფორმაცია ცვლის მოძრაობებს და ა.შ.

განწყობის თეორიისთვის მიუღებელია ასეთი უშუალო ურთიერთკავშირი (იხ. **უშუალობის პოსტულატი**). ფუნქციების ურთიერთკოორდინაცია გაშუალებულია ინდივიდის განწყობით; მიღებული ინფორმაცია იწვევს ჯერ განწყობის გადაყალიბებას, რაც, თავის მხრივ, ზემოქმედებს სხეულებრივ მოძრაობებზე. უკუკავშირიც ასევე განწყობის შუალობით ხდება. **სდ**-ზე **აქტუალური განწყობა** აერთიანებს და მოგეზავს სენსორულ-აღქმით და კუნთურ-მოტორულ **მდგენელებს**, აგრეთვე შესაბამის **დისპოზიციებს** (**ჩვევებს, ჩვეულებებს, უნარჩვევებს**), **ინსტინქტებს**. ქმედებათა წარსამართავად **გაცნობიერება** არაა საჭირო და მაშინ ქცევა ბოლომდე **იმპულსური** იქნება. მაგ., ცხოველისა თუ ჩვილის ყველა ქცევა მხოლოდ **სდ**-ისაა და თანაც თავიდან ბოლომდე იმპულსურია. თუმცა ცნობიერი ადამიანის შემთხვევაში ქცევა უმეტესად მაინც ცნობიერდება. ძირითადად **სდ**-ისაა მაგ., ჩოგბურთელის ქცევა ჩოგბურთის თამაშისას; ბავშვის ლაღი გაუაზრებელი ჭყუმპალაობა ტბაში; აგრეთვე ბავშვის მიერ წყალში ბაყაყების დანახვა და შიშისგან ნაპირზე ახტომა (ამ ქცევების დროს ცნობიერება პასიურია – მიმდინარე მოქმედებებს მხოლოდ აირეკლავს). ხოლო თუკი გაცნობიერების შედეგად მოქმედებები შეიცვლება, მაშინ ქცევა გადის **სდ**-იდან. მაგ., თუკი ჩოგბურთელმა გააზრებულად დაიწყო თამაშის ტაქტიკის შეცვლა, ან შეეცოდა მოწინააღმდეგე და ამიტომ შეასუსტა დარტყმების ჩვეული ძალა;

ანდა თუკი ჭყუმპალაობის დროს ბავშვმა გააცნობიერა, რომ უკვე გვიანაა და ამის გამო ავიდა ნაპირზე. ეს უკვე აღარ იქნება **სდ**-ის ქცევები, რადგან ცნობიერების აქტიური ჩარევით იქნა შეცვლილი.